# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—შაბათი, 12 აგვისტო 1900 წ. № 1208

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარეთ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით

6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარეთ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

## „ცნობის ფურცლის“

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 აგვისტო**

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრე თეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლით, დიდი მთავრინით მარიამ გიორგის ასულით და საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოოზი დაბრუნდნენ დიდი ალლუმიდან. რკინის გზის სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი ალექსანდრიაში წაბრძანდნენ.

დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული დიდი მთავრინით ოლგა ალექსანდრეს ასულით 8 აგვისტოს გელზინგვერში მოვიდნენ; აქ მათ დახვდათ დანიის მეფე და აქედან ფრედენსბორგში წავიდნენ.

გენერალ გროდეკოვის დეპეშა 7 აგვისტოდან: „გენერალმა რენენკამფმა ერთის საათის ბრძოლის შემდეგ აიღო 4 აგვისტოს ქალაქი მერგენი; ზარალი არა მოგვსვლია რა; მტერს კი შესამჩნევი ზარალი მოუვიდა. გაქცეულ მტერს გამოუდგა 300 ყაზახი და წაართვა 12 ზარბაზანი—ორი სამთო, ერთი ჩქარა სასროლი, ერთიც ბალჩაში რომ იდგა და რვა კიდევ სხვა, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ; გარდა ამისა, მტერს დარჩა 700 თოფი, ბევრი ხმალ-ხანჯალი და პატრონებისა და თოფის წამლის დიდი საწყობები. დევნის დროს დაჩეხეს 150 ჩინელი.

გენერალი ლენევიჩის დეპეშა სამხედრო მინისტრთან მიწერილი 8 აგვისტოს, და მიღებული 2-ს: „პირველ აგვისტოს ღამის 2 საათზე, რუსის ჯარებმა იერიშით აიღეს აღმოსავლეთის კარები, რომელნიც კანალის სათავეში დგანან, და პირველები შეცვიდნენ პეკინში; რუსეთის დროშა ყველაზე ადრე იქმნა ამართული პეკინის კედელზე. კარებთან ბრძოლა გაგრძელდა 14 საათი შეუწყვეტლად. ავანგარდის უფროსი გენერალ-მაიორი ვასილიევსკი და მეორე მსროლელ პოლკის უფროსი პოლკოვნიკი მოდლო პირველები ავიდნენ ჯარებით კედლებზე და ამართეს რუსეთის დროშა. ჩინელები, რომელთაც ახლო ობსერვატორია და სხვა კოშკები ეკავათ, ძლიერად ესროდნენ ჩვენ ჯარებს, სანამ ქვეითი ჯარის და არტილერიის სროლამ არ განდევნა ისინი იქიდან. გენერალ-მაიორ ვასილიევსკის მკერდი გაუხვრიტეს, მძიმედ დასჭრეს კისერში პოლკოვნიკი მოდლი, მსუბუქად — მეათე მსროლელთა პოლკის შტაბს-კაპიტანი გორსკი—ორ ადგილას მკერდში და ხელში, მეორე მსროლელთა პოლკის პორუჩიკი ფეოკნისტოვი ფეხში, პორუჩიკი და ფლოტის იუნკერი ნიკოლოზ გირსი ფეხში. მოჰკლეს პოლკოვნიკი ანტიუკოვი; ჯარის კაცები მოჰკლეს 20, დასჭრეს 101. შეერთებულ ჯარებმა მიიტანეს იერიში პეკინის სხვა კარებზე, აიღეს ისინი და იმავე დღეს პეკინში შევიდნენ. მთავრობა გაიქცა. საელჩოები მძიმე მდგომარეობაში ვნახეთ; ამათ ყოველ დღე ჰქონდათ სროლა ჩინელებთან; მეტის გაცხარებით იბრძოდნენ თურმე ჩინელები ორ უკანასკნელ დღეს და ჩვენი იერიშის დროსაც. ყველა საელჩოებში მეტად დიდი ზარალია. რუსეთის საელჩოში მოუკლავთ 20 და დაუჭრიათ 20 ჯარის-კაცი“.

**ტრაისფელდერი.** ბურების გენერლები ბოტა, მაიერი, შალკბურგერი, ფურიე, ტობისი და სმიტსი, როგორც ისმის, დგანან ეხლა 8000 ჯარით და მთელი თავიანთი არტილერიით მახადოდორპთან.

**ბერლინი.** იაპონიის წყაროებიდან ტოკიოდან იტყობინებიან, რომ იმპერატორის სასახლე პეკინში დაიკავეს იაპონელმა ჯარებმა. პეკინის აღების ოთხი დღის წინ ქვრივი დედოფალი და მინისტრები გაიქცნენ პეკინიდან ტუნ-ფუნძიანის 3000 ჯარის კაცის თანხლებით. ჰფიქრობენ, რომ ისინი წავიდნენ სინანფუში, შენსის პროვინციაში, რადგანაც პეკინში არეულობამ მეტად იმატა. ქალაქი ეხლა რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი; თათრების უბანის ნახევარი, ჩრდილოეთით, შინდობილი აქვთ იაპონელებს; განსაკუთრებულ კომისიებს მინდობილი აქვთ ქალაქში მშვიდობიანობის დაცვა; ეს კომისიები არიან იაპონიის, რუსეთის, ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის წარმომადგენელნი. იაპონელმა რაზმმა გაანთავისუფლა იმპერატორის სასახლეში დატყვევებული მისიონერები და ჩინელი ქრისტიანები. იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 200. მტრის ზარალი 600-ს უდრის.

**ლონდონი.** პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან: „1 აგვისტოს, დილის 11 საათზე, ამერიკის და რუსეთის დროშები ამართული იყვნენ პეკინის აღმოსავლეთ კედელზე. ინდოეთის ჯარები შევიდნენ ინგლისის საელჩოში 1-ლ საათზე, ამერიკისა—3 საათზე. დიდის სიხარულით მიეგებნენ ამათ საელჩოებში მყოფნი, რომელთაც მხოლოდ 3 დღის სურსათი დარჩენოდათ და რომლებთაც ჩინელები უკანასკნელ დღეებში ძლიერად თავს ესხმოდნენ. იაპონელებმა დაიწყეს ბრძოლა განთიადზე და აქამდე იბრძვიან ჩრდილოეთ ჯარებთან. იაპონელების და რუსების ზარალი არ არის ცნობაში მოყვანილი; ამერიკელებს და ინგლისელებს მხოლოდ რამდენიმე დაუჭრეს. შეერთებულ ჯარების უფროსებს განზრახვა ჰქონდათ 2 აგვისტოს მიეტანათ იერიში პეკინზე; ჯარები დაბანაკდნენ აღმოსავლეთით, პეკინიდან 5 მილის მანძილზე; ესენი მეტად დაღალულები იყვნენ და თან კოკისპირული წვიმა ასხამდა მათ; მაგრამ გენერლებმა, როცა პეკინიდან ზარბაზნებისა და თოფების სროლა გაიგონეს, დაასკვნეს, რომ ინგლისის საელჩო განსაცდელშია და ამიტომ დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში ქალაქზე. ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის ჯარები წავიდნენ მდინარის მარცხენა ნაპირით, რუსები და იაპონელები მარჯვენით. იაპონელებმა სძლიეს ქალაქის ჩრდილოეთის ნაწილისაკენ ჩინელების უძლიერესი წინააღმდეგობა; ინგლისელებსა და ამერიკელებს სუსტი წინააღმდეგობა შეხვდათ

და შევიდნენ ქალაქში, სადაც ქუჩებში ბრძოლა იყო; ბოლოს ჯარები კანალით შეცვივდნენ ქალაქის უცხოელთა ნაწილში“.

**პეტერბურგი**. 9 აგვისტოს აფიცრობა მისცეს სამხედრო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ.

**სოფია**. „ბოლგარიის სააგენტო“ აცხადებს, რომ ხმები ბოლგარელი ჯარების მობილიზაციის შესახებ მოკლებულია ყოველ საფუძველსაო. მთავრობა, მცხოვრებნი და პრესსა აღუშფოთებლად ექცევა რუმინიაში მომხდარ ამბებს.

**ნიუ-იორკი**. შანჰაიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მდგომარეობა იანცეს ქალაში თან-და-თან უფრო კრიტიკული ხდება; სამხედრო წრეების მოსაზრებით, შანჰაის დასაცველად საჭიროა 15,000 ჯარის-კაციო. აუცილებლად საჭიროა, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოჰგზავნოს მაშველი ჯარებიო. ეს დეპეშა მოვიდა გარეშე საქმეთა სამინისტროში.

**ვაშინგტონი**. მაკ-კინლეის თათბირი ჰქონდა შესახებ ჩაფეის დეპეშისა, რომელიც გამოქვეყნებულია. როგორც ისმის, ჩაფეი უჩვენებს მოსალოდნელ ბრძოლებზედ, რომელნიც უნდა მოხდნენ პეკინის მიდამოებში და პეკინსა და ნაპირებს შუა. ამიტომაც შეუძლებელია დაინიშნოს დაახლოვებითაც კი დღე, როცა ამერიკელ ჯარებს შეეძლებათ აქედან წასვლა.

**ლონდონი**. ადმირალი ბრიუსსი დეპეშით იტყობინება ტაკუდან, რომ 6 აგვისტოს ტიანცზინის სამხრეთით, ექვსის მილის სიშორეზე, მოხდა პატარა ბრძოლა.

**ბერლინი**. ლიხუნჩანგის წინადადებაზე,—დაუყოვნებლივ წაიყვანეთ მოკავშირეთა ჯარები და მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება დავიწყოთო, გერმანიის მთავრობას უპასუხნია, რომ ჩინეთის მხრივ სათანადო მინდობილობის უქონლობის გამო მას არ შეუძლია მოლაპარაკება დაიწყოს.

**ვაშინგტონი**. ადმირალი რემეი დეპეშით იტყობინება 7 აგვისტოდან, რომ ამერიკის მეექვსე კავალერიის პოლკმა და 400-მდე ინგლისელმა და იაპონელმა განდევნეს ტიანცზინიდან 8 მილის სიშორეზე 1000 „მოკრივე“ და მოჰკლეს 100 ჩინელი.

**ლორენცო-მარკეზი**. კრიუგერმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც პასუხია რობერტსის პროკლამაციისა. კრიუგერი ამბობს, რომ უსარგებლოა იარაღის დაყრა, რადგანაც რობერტსმა გამოაცხადა, რომ ყოველი ბური ასაკით 12 წელზე მეტი სამხედრო ტყვედ იქმნება ჩათვლილი და წმიდა ელენეს კუნძულზე გაგზავნილიო; ასევე უსარგებლო იქნება, ბურებმა რომ ჯარს თავი დაანებონ, რადგანაც რამდენად ისინი თავიანთ ფერმებს მიუახლოვდებიან, იმდენად ახლო იქმნებიან კუნძულთან.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ შეერთებული ჯარები პეკინში არიან; ელჩები და სხვა უცხოელები გადარჩნენ. მერე?—ინგლისის პრესსა ასეთ პასუხს იძლევა ამ კითხვაზედ: უნდა დაისაჯონ ყველა ის პირები, ვინც მონაწილეობას იღებდა საელჩოებზე თავ-დასხმაში და მისიონერების ამოჟლეტაში და 2) უნდა ისეთი ღონის-ძიება იქმნას მიღებული, რომ ამ გვარი შემთხვევები არ განმეორდნენ. სხვა-გვარ შურის მიებაზედ ფიქრიც კი არ შეიძლება. პეკინის დანგრევა ან იმპერატორების მავზოლების დანგრევა განათლებულ სახელმწიფოებს არ ეკადრება. ამ გვარი მოქმედება აღელვებს მთელს ჩინეთის ევროპიის წინააღმდეგ და მას უსამინლესი შედეგი მოჰყვება.

გერმანიამ ორი მისიონერის მოკვლისათვის შანტუნგში მოსთხოვა ჩინეთს და კიდეც მიიღო კიო-ჩაო; ჩვეულებრივ კი ამგვარ საქმეებისათვის კონტრიბუციას აძლევინებდენ ხოლმე ჩინეთს და ხან და ხან რამდენიმე ჩინელის (დანაშაულის და ხან და ხან უდანაშაულოს) სიკვდილით დასჯას. ორივე ეს ზომა არც მიზანს აღწევს და უსამართლოც არის; პირველი იმიტომ, რომ ამით ჩინელები რწმუნდებიან—მისიონერები უცხოელ სახელმწიფოების პოლიტიკური აგენტები არიანო, მეორე იმიტომ, რომ ჩინელები თან და თან ეჩვევიან აზრს მისიონერის მოკვლას ფულის გადახდის მეტი არაფერი მოსდევსო.

არც ერთი ეს სასჯელი არ ეხება ნამდვილ დამნაშავეთ, ე. ი. ჩინეთის მთავრობის იმ პირებს, რომელნიც პირდაპირ—თუ არა პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ დანაშაულის ჩადენაში. მართალია, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა შეურაცხყოფილი სახელმწიფო თხოულობდა რომელიმე გავლენიან—მანდარინის თანამდებობიდან გადაყენებას, მაგრამ უმრავლესს შემთხვევაში უკანვე მიჰქონდა ამ გვარი მოთხოვნა, რადგანაც ჩინეთის მთავრობა მისი ასრულების დიდი წინააღმდეგი იყო. ეხლანდელ გარემოებებში არც ფული და არც ტერიტორიის დათმობა არ უნდა მოსთხოვონ ჩინეთს. რასაკვირველია, ჩინეთი იძულებული იქნება დიდი ფული გადაიხადოს უცხოელების ქონების დანგრევისა და დატაცებისათვის, მაგრამ მეტი კი არ უნდა მოითხოვონ სახელმწიფოებმა, თუ უნდათ ჩინეთში მშვიდობიანობისა და წეს-რიგის ჩამოგდება.

ჩინეთის ცენტრალური და პროვინციალური მთავრობანი თითქმის გაკოტრებამდის არიან მისულნი იაპონიასთან ომით გამოწვეულ ვალების გამო.

ჩინეთი რომ აიძულონ გადაიხადოს არა თუ უცხოელების ქონებრივი ზარალი, არამედ უცხოელების გაყვლეტის სამაგიეროც, ეს ჩინეთის სრული გაღატაკება იქნება: ხალხს ისეთი ტვირთი დააწვება, რომ მას იგი ვერ აიტანს და ადრე თუ გვიან იგი ისევ აჯანყდება. უმჯობესია, ნამდვილი დამნაშავეთ გადახდეს ყველაფერი. ბევრ ამათგანს უკვე იცნობენ. საჭიროა, დაუყოვნებლივ დაისაჯონ ისინი. ამ საქმისათვის უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული გამომძიებელი ტრიბუნალი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ ვინ რამდენად დანაშაულია და ვის რა სასჯელი მიეზღოს. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება შეაგონონ ჩინეთის მთავრობას, რომ იგი როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც წეს-რიგის დაცვის პასუხის მგებელია; მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ მას, რომ უცხოელების წინააღმდეგ მოძრაობა და საზოგადოთ აჯანყება უფრო იშვიათი მოვლენა იქნეს ჩინეთში.

უეჭველია, რომ სხვა დამნაშავეთა შორის «მოკრივეთა» აჯანყებაში უცხოელების წინააღმდეგ ერთი უმთავრესთაგანი პრინცი ტუანია. ჩინეთის მთავრობის სათავეში 1898-იდან ქვრივი დედოფალია—ესეც ან პირდაპირ ურევია აჯანყებაში, ან იმით არის დანაშაული, რომ წინააღმდეგობა არ გაუწია ამ მოძრაობას. ასეა თუ ისე დედოფალი უვარგისი მმართველი გამოდგა და ამიტომ იგი უთუოდ გადმოგდებულ უნდა იქნას ტახტიდან.

ვინ უნდა ავიდეს მის მაგიერ ჩინეთის ტახტზე? იმპერატორი! მართალია ახალგაზდა იმპერატორმა ვერ გამოიჩინა დიდი ნიჭი, როცა მან რეფორმების შემოღება განიზრახა; გარდა ამისა მაშინ ამტკიცებდნენ, რომ მას მეტად მცირე რიცხვი მომხრეებისა ჰყავსო. მაგრამ ჩინეთის განათლებულ წრეების პეტიციების გაცნობამ გვიჩვენა, რომ ახალგაზდა იმპერატორს ბევრი თანამგრძნობი ჰყავს, განსაკუთრებით ახალ-თაობაში. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მისი ხელ-ახლად ტახტზე აყვანა უნდოდათ, და ეს სურვილი ცხადად გამოიხატა უცხოელ სახელმწიფოებისადმი მიმართვაშია, რომლის დასკვნაც დაახლოვებით შემდეგის შინაარსისა იყო:

«თვალნი ჩვენნი მიმართულნი არიან პეკინისაკენ და ჩვენ მწუხარებით ვამჩნევთ, რომ არ შეგვიძლია ჩვენის საყვარელის იმპერატორისა[ს] დახსნა. ჩვენ მხოლოდ უცხოელ სახელმწიფოების და მათი წარმომადგენლების სამართლიანობის გრძნობის იმედი გვაქვს: ესენი გამოგლეჯენ ჩვენს იმპერატორს მისა და მამულის მტრების კლანჭებისაგან და დაუბრუნებენ მას მისს ტახტსა და უფლებებს. მაშინ რეფორმების დღენი არ დაიგვიანებენ. იმპერატორი კარგად იცნობს დასავლეთის ცივილიზაციისა და მეცნიერების უპირატესობას და იგი ყოველთვის მოწადინეა შემოიღოს ჩინეთში რეფორმები და დაამყაროს სახლში მშვიდობიანობა. მაშინ თქვენ დაინახავთ ერს ბედნიერს და მადლობით აღსავსეს დასავლეთ სახელმწიფოების სამართლიან მოქმედებისათვის».

იმპერატორის ტახტზე დაბრუნება სრულებით იმას კი არ ნიშნავს, რომ უცხოელებს სრული თავისუფლება ექნებათ თავიანთ ნებაზე იფარფაშონ და იმოქმედონ ჩინეთში. ჩინეთის სარეფორმო მოძრაობა ეროვნული მოძრაობაა, რომლის მიზანიც ევროპის ცივილიზაციის შეთვისება და ამით ჩინეთის გამაგრებაა. ეს მოძრაობა წინააღმდეგია ჩინეთის განაწილებისა და სხვა-და-სხვა «გავლენის სფერებისა»; იგი მომხრეა იმგვარ დაწესებულებათა შემოღებისა, რომელნიც სარგებლობას მოუტანენ ჩინეთს და ამასთან ხელს შეუწყობენ მისგვერთიანებას და განმტკიცებას და არა განაწილებას. სარეფორმო მოძრაობა ვრცელდება და ვერც ჩინეთის მთავრობა და ვერც უცხოელები მას ხელს ვერ შეუშლიან. ამიტომ მოკავშირეებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ მოძრაობას, რადგანაც, მისი მადლობით, აღარ განმეორდება მომავალში ჩინეთის საქმეების ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა».

∝ როგორ უნდა მოიქცნენ მოკავშირეთა ჯარები პეკინის აღების შემდეგ? აი რას ამბობენ ამ კითხვაზედ გაზეთები: პეკინის დაპყრობის შემდეგ მოკავშირეთა ჯარებს ორნაირად შეუძლიანთ მოიქცნენ: ან შინაურულად მოეწყობიან პეკინში და ან განთავისუფლებულ ელჩებით და სხვა უცხოელებით დაბრუნდებიან ტიანშინში. პირველი გზის არჩევა ნაკლებად მოსალოდნელია, რადგანაც მოკავშირეთა ჯარები არ იყვნენ მომზადებულნი პეკინის ხანგრძლივი დაპყრობისათვის; გარდა ამისა გზა-გზა დატოვებული გარნიზონები შედარებით რიცხვ მცირენი არიან და ვერ შესძლებენ სრულებით უზრუნველჰყონ პეკინსა და ტიანშინს შუა მიმოსვლა და მიწერ-მოწერა. უფრო მოსალოდნელია, რომ მოკავშირეთა ჯარები მოკლე ხანში ისევ ტიან-შინში დაბრუნდებიან. რაც უნდა იყოს პეკინის აღებისა და ელჩების განთავისუფლების შემდეგაც, მათ კიდევ

ზეგრი საქმე მოელისთ, ზეგანში მისულ უცხოელ ჯარების რიცხვი 18 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

✕ ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ, ერთის გავლენიანი პირის სიტყვით, შეერთებული შტატები ერთ კვალ მიწასაც არ მოსთხოვს ჩინეთს; ის მოითხოვს მხოლოდ ყველა დამნაშავეთა დასჯას და იმპერატორისა და დედოფლის განდევნას, თუ აღმოჩნდება, რომ უცხოელების ამოჟლეტა მათის ბრძანებით ხდებოდა. გარდა ამისა ამერიკა მოსთხოვს ჩინეთს ზარალის აღდგენას, როგორც დაკარგულის ქონებისას, ისე დახოცილებისასაც.

# ახალი ამბავი

✦ ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ გუშინ: „მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა 93 ხმით, წინააღმდეგ 55-სა, გ. ფ. ზდანოვიჩი. მის გარდა კენჭი იყარა ინჟენერ-ტეხნოლოგმა კალატოზიშვილმა, რომელიც გაშავებულ იქმნა“.

✦ ბევრ გუბერნიის მმართველთა შუამდგომლობენ შესახებ ეგრედ წოდებულ „მისავალ“ (ПОДЪѢЗДНЫЕ) რკინის გზების გაყვანისა ჰგზავნიან პეტერ-ბურგის ცენტრალურ დაწესებულებებში, რითაც გზების გაყვანა მეტად გვიანდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ გარემოების გამო ცირკულიარით აუხსნა გუბერნატორებს, რომ „მისავალ“ გზების გაყვანის ნება-რთვის მიცემა მათ უფლების ქვეშ არის და ამისთვის საჭირო არ არის მიჰმართონ ცენტრალურ ორგანოებსო.

✦ **პროფესორი დოკუჩაევი**, რომელიც სამინისტროსაგან იყო გამოგზავნილი ადგილობრივ ნიადაგის ხასიათის გამოსაკვლევად, მომავალ შემოდგომაზე წაიკითხავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში რამდენიმე საინტერესო მოხსენებას კავკასიის ნიადაგის ხასიათის შესახებ.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მიწის მზომელთა სკოლა უნდა გაშენებულიყო პეტრესა მაკაროვის მამულში, ვერაზე, პოლიციის პირველ ნაწილში. როცა ქალაქის გამგეობამ შეადარა შენობის პროექტი მაკაროვის მამულის განაწილების, გამგეობისაგან დამტკიცებულ პლანს, აღმოჩნდა, რომ მაკაროვმა დაწყებული შენობით დაიკავა ის ადგილი, რომელიც დანიშნული იყო მამულის განაწილების გეგმით ახალი ქუჩისათვის. ამიტომ ქალაქის გამგეობამ აღუკრძალა მაკაროვს მუშაობის გაგრძელება. მიწის მზომელთა უფროსმა ბ. კაზაკევიჩმა სთხოვა გამგეობას, რათა ნება მიეცათ ხსენებულ მაკაროვისათვის დაემთავრებინა შენობა, რადგანაც განზრახული ქუჩა არავისათვის საჭირო არ არისო. ამ თხოვნის გამო გამგეობამ დაადგინა: 1) მოხსენდეს ტფილისის გუბერნატორს, რომ მაკაროვმა თავის შენობით დაიკავა ქუჩისათვის დანიშნული ადგილი; 2) უარი ეთქვას ბ. კაზაკევიჩს თხოვნაზე და 3) ეკითხოს გუბერნიის სამმართველოს სახუროთ-მოძღვრო განყოფილებას, რა საფუძვლით დაამტკიცა მან კერძო კაცის შენობის პროექტი, მაშინ როდესაც ეს ქალაქის გამგეობის საქმეა.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის საქმეების ეხლანდელ მდგომარეობის გამო **სახაზინო პალატების შტატების** 1901 წლისთვის განზრახული მომატება აღარ მოხდება, რადგანაც ამ მომატებისათვის დიდი ფულია საჭირო. მხოლოდ მომავალი წლიდან სახაზინო პალატის არსებულ მოხელეებს მოემატებათ ჯამაგირები.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ექიმმა ბ. გძელიშვილმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა შემწეობა აღმოეჩინათ ავლაბარში მცხოვრებ ღარიბთათვის. ქალაქის გამგეობამ თანაგრძნობით მიიღო ეს შუამდგომლობა, მაგრამ ვერ დააკმაყოფილა იგი, რადგანაც მას ამ საგნისათვის განსაკუთრებული ჯამი არ აქვს.

✦ გუბერნიის საქალაქო სამმართველოს ახლად დაარსებულ „აუცილებელ“ (непремѣнный) წევრის თანამდებობაზედ დაინიშნებიან პირები მიმდინარე თვის შუა რიცხვებში.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო უმახლობელესს დროში გადასინჯავს **საკომისიონერო კანტორების** შესახებ არსებულ კანონებს. ხსენებული კანტორების კლიენტების მეტ უზრუნველ ყოფისათვის.

✦ აღძრულა კითხვა შესახებ ქალაქის მონაწილეობისა მთხოვრობასთან ბრძოლაში. განზრახულია, სხვა მაგალითების მიხედვით, დაჰყონ ტფილისი რამდენიმე ნაწილად და თვითოეულ ნაწილში დაარსონ სამზრუნველოები ღატაკთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. საჭირო მასალა უკვე შეკრებილია და წესდების პროექტი წარედგინება ქალაქის გამგეობას მიმდინარე წლის შემოდგომაზედ.

✦ რადგანაც რკინის გზებზე წიგნის მოვაჭრეები ხშირად დადებულ ფასზე მეტად ჰყიდიან თავიანთ საქონელს, რკინის გზების უმთავრესმა სამმართველომ მიწერილობა გამოუგზავნა ადგილობრივ რკინის გზების სამმართველოებს, რათა ამათ თვალ-ყური ადევნონ წიგნებისა და გაზეთების წესიერ ვაჭრობას.

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 8 აგვისტოს**

| | მყიდვ-ელი. | გაყიდ-ული | გამყიდ-ველი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ე | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96½ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99¾ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¾ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | 315 | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 269 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | 207 | — |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | — | 85 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

**ნ ი ხ ი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 8½ გ. |
| სუკი . . . . . . . . | » — | 15 გ. |
| » ცხვრისა . . . | » — | 8½ გ. |
| » ღორისა . . . | 1 — | 8 გ. |
| » კამეჩისა » » | » — | 8 გ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 გ. | 5 | გ. |
| » » | II | » | » » | 3½ | » |
| » » | III | » | » » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » » | 5 | » |
| » » | II | » | » » | 4 | » |
| » » | III | » | » » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » » | 6 | » |
| » » | II | » | » » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზაძეზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . . | 1 | — | 23 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | | ხარისხ. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 « |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, გლისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის სააგადმყოფო სულითავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარეო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარეო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარეო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი სღამ. 1 ს.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა; ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.